

კვლავ გრიგოლ რობაქიძისა და ყურბან საიდის ურთიერთობის შესახებ

ამ წერილით კიდევ ერთხელ ვუბრუნდები ქართულ მედიასა და სამეცნიერო ლიტერატურაში წამოჭრილ საკითხს გრიგოლ რობაქიძისა და ყურბან საიდის (ესად ბეის) ურთიერთობის შესახებ. მკითხველს ვთხოვ, სურვილის შემთხვევაში, ამ საკითხზე გამოქვეყნებული ლიტერატურისა და პრობლემემატიკისათვის გადახედოს 2009 წელს ჩემს მიერ გამოქვეყნებულ სტატიას „გრიგოლ რობაქიძე და ყურბან საიდი (ესად ბეი, ლევ ნუსიმბაუმი): ახალი მასალა“ (მრავალთავი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 22, N 2009, გვ. 225-241).

მითითებულ ნაშრომში მე შევეცადე დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დამესაბუთებინა, რომ ესად ბეი ახლოს იცნობდა გრიგოლ რობაქიძეს, უხვად და ხშირად სიტყვასიტყვით სარგებლობდა მისგან არა მარტო ქველახე უფრო ცნობილი რომანის „ალი და ნინოს“ წერისას (თუ მისი დაწერილია), არამედ ბევრი სხვა მხატვრული თუ დოკუმენტური ნაშრომის შექმნისას. უმეტეს შემთხვევაში ესად ბეი თავის წყაროს არ ასახელებდა, ზოგჯერ კი მიუთითებდა თავის „პირად მეგობარ“ გრიგოლ რობაქიძესთან საუბრებზე, ნაწარმოებების დაუსახელებლად. ერთადერთი, რაც, ჩემი აზრით, პასუხაუცემელი დამრჩა, ეს იყო გრიგოლ რობაქიძის დუმილი „მისი პირადი მეგობრის“ დაუფარავ პლაგიატზე; გრიგოლ რობაქიძისა, რომლის უმძაფრესი რეაქცია „ლამარას“ ვაჟა-ფშაველას მოტივებზე შექმნილ პიესად გამოცხადებასთან დაკავშირებით, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი. ამ წერილში ძირითადად სწორედ ამ დუმილის შესახებ იქნება მსჯელობა.

დასაწყისისათვის დამატებით სულ რამდენიმე სიტყვა ესად ბეის შესახებ.

მისი ნამდვილი სახელი და გვარია ლევ ნუსიმბაუმი (ცნობილია, აგრეთვე, „ნუსიმბაუმი“ ფორმით). მამამისი იყო თბილისის ებრაელი მოქალაქე აბრამ ლეიბუსოვიჩ ნუსიმბაუმი, დედა – ბასია დავიდოვანა სლუცკინ (მოგილიოვის გუბერნიიდან – ბელორუსია). მშობლებმა იქორწინეს თბილისის სინაგოგაში 1904 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო დოკუმენტი გასცა რაბინმა ლევინმა იმავე წლის 1 ნოემბერს (დოკუმენტის მოძებნაში დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ საისტორიო არქივის დირექტორს, ბატონ ზ. ჟვანიას). როგორც ჩანს, ლევ ნუსიმბაუმი დაიბადა 1905 წელს (მოსალოდნელია ავგისტოში ან მის შემდეგ მალე), ოღონდ უცნობია – სად. მკვლევრები ლაპარაკობენ კიევის

შესახებ, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტი არა ჩანს. თვითონ „დიდი მისტიფიკატორი“ წერს, რომ დაიბადა ციურიხიდან მომავალ მატარებელში, სადღაც ევროპისა და აზიის საზღვარზე სტეპებში. ბავშვობა რომ ბაქოში გაატარა, ესეც დოკუმენტურად არის დადასტურებული. მამას, აბრამს, ახერბაიჯანში საკმაოდ წარმატებული ნავთობის ბიზნესი ჰქონდა, რომელიც 1913 წელს მიჰყიდა ძმებ ნობელებს. ლევის დედამ, ბასიამ თავი მოიკლა 1908 წელს (ბაქოს სინაგოგის მიერ გაცემული დოკუმენტი ინახება ახერბაიჯანის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში), თითქოს მას შემდეგ, რაც მეუღლემ შეიტყო მისი ბოლშევიკებთან (შესაძლოა, სტალინთან, რომელიც ბაქოში მათ ოჯახს სტუმრობდა) კონტაქტისა და მათთვის ხელშეწყობის შესახებ.

ბოლშევიკების მიერ ახერბაიჯანის დაკავების შემდეგ მამა-შვილი გერმანიაში გაიხიზნა თბილისზე გავლით, თბილისური პასპორტით. ეს ფაქტები ძირითადად ცნობილია ესად ბეის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან (*Blood and Oil in the Orient: Petroleum Industry and Trade in Azerbaijan*, 1997 by Aran Press, 304-313. გადმობეჭდილია 1931 წლის ლონდონის გამოცემიდან), რომელშიც სინამდვილისა და მწერლის ფანტაზიის ერთმანეთისაგან გარჩევა ძალიან ძნელია. რაიმე დოკუმენტი ჩვენს საცავებში მამა-შვილ ნუსიმბაუმების მიერ ქართული პასპორტით საქართველოს საზღვრების გადაკვეთის შესახებ არა ჩანს.

ლევ ნუსიმბაუმის პირველი ნაწერები გერმანიის პრესაში ჩნდება დაახლოებით 1927 წლიდან. ამ დროიდან ის უკვე ესად ბეია და შემდეგში მეც უმეტესად ამ სახელით მოვიხსენიებ. მისი არც ერთი სტატია ან თხზულება ხელმოწერილი არ არის მისი ნამდვილი სახელითა და გვარით. როგორც ჩანს, ლევ ნუსიმბაუმი მალე მიხვდა, რომ ებრაელს გერმანიაში პრობლემები შეექმნებოდა და ავტობიოგრაფიებში, მოგონებებსა თუ მხატვრულ-დოკუმენტურ ნაწერებში შეეცადა სრულიად წაეშალა თავისი ებრაული წარმოშობის კვალი. საზოგადოება მას ახლა უკვე იცნობდა როგორც მაღალი წარმოშობის ახერბაიჯანელ, ირანელ, არაბ, თურქ ან სულაც ქართველ მწერალს (Roberts, Glyn. *The Most Powerful Man in the World: The Life of Sir Henri Deterding*, New York: Covici Friede Publishers, 1938, გვ. 249-250, 255).

ერთადერთი სხვა ფსევდონიმი, რომელიც მან მოგვიანებით გამოიყენა როგორც „ალი და ნინოს“ ავტორმა, ეს იყო ყურბან საიდი. რატომ? ამ საკითხს ჭვემით კიდევ შევხვდებით.

საქართველოში ყურბან საიდის რომან „ალი და ნინოს“ შესახებ აქტიური მსჯელობა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგთან“ მისი მიმართების შესახებ დაიწყო: წაკითხული ჰქონდა თუ არა ყურბან საიდს (ესად ბეის) „გველის პერანგი“. ის, რომ „ალისა და ნინოში“ „გველის პერანგთან“ ბევრი საერთო პასაჟი აღმოჩნდა, ზოგჯერ სიტყვასიტყვით, თ. ინიას ნაშრომმა სრულიად უეჭველად დაადასტურა. მას შემდეგ, რაც დაინტერესებული მკითხველი უკვე იცნობს 1931 წელს ესად ბეის მიერ გრიგოლ რობაქიძისგან ჩამორთმეულ ინტერვი-

უს (მრავალთავი, 2009, გვ. 226-229), ალბათ ყველასთვის ისიც ნათელია, რომ ესად ბეის (ყურბან საიდს) წაკითხული ჰქონდა „გველის პერანგი“. მიუხედავად ასეთი დიდი ალბათობისა, მე მინდა ქვემოთ კიდევ უფრო პირდაპირი ცნობა მოვიყვანო.

გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების მცოდნეს კარგად ახსოვს, რომ 1928 წელს გერმანიაში შტეფან ცვაიგის შესავალი წერილით გამოქვეყნდა „გველის პერანგი“. ამ გამოცემას მომდევნო წელსვე (შესაძლოა, სულ რამდენიმე თვის შემდეგ) გამოეხმაურა ესად ბეი (ყურბან საიდი) მოკლე ცნობითა და შეფასებით (მომაწოდა ამერიკელმა ჟურნალისტმა ბეტი ბლერმა), რომლის წაკითხვა დაინტერესებულ მკითხველს აქვე შეუძლია როგორც დედნის ენაზე, ისე ქართულად.

Grigol Robakidse: Das Schlangenheimd. Essad Bey.

Ein Roman des georgischen Volkes. Mit einem Vorwort von Stefan Zweig. Eugen Diederichs Verlag, Das Tage Buch, 1929.

Das beste exotische Buch, das seit Jahren erschienen ist. Das Exotische, das bis jetzt immer durch das Prisma des Europäischen gesehen wurde, ist hier zum erstenmal dargestellt von einem Orientalen, dem man das Prädikat Dichter mit vollem Recht zusprechen kann. Die sonst so unangenehme Panoptikum-Psychologie eines europäischen exotischen Romans fehlt hier vollständig, ebenso wie der allzu oft billige Aesthetizismus eines europäischen Exoten-Dichters. Dagegen ist der Roman architektonisch an die europäischen und nicht orientalischen Romantraditionen angegliedert, wodurch auch dem Europäer das Verständnis der orientalischen Gedankenwelt möglich wird. Der künstlerisch gediegene Stil des Romans, die beinahe magische Sprachkunst lässt auch die einzelnen technisch-psychologischen Unzulänglichkeiten übersehen.

გრიგოლ რობაქიძე: „გველის პერანგი“, ესად ბეი. ქართველი ხალხის რომანი, შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით. დიდერიხის გამომცემლობა, Das Tage Buch, 1929, გვ. 1912.

„*ყველაზე ეგზოტიკური წიგნი, რომელიც კი ბოლო წლების განმავლობაში გამოჩენილა. ეგზოტიკა, რომელსაც დღემდე ყოველთვის ევროპელის პრიზმიდან ხედავდნენ, პირველად არის წარმოდგენილი აღმოსავლელის მიერ, რომელსაც სრული უფლებით შეიძლება ეწოდოს „პოეტი“. აქ ვერ ნახავთ ევროპული ეგზოტიკური რომანის ჩვეულებრივ, ასე უსიამოვნო ფსიქოლოგიურ პანოპტიკუმს, აგრეთვე, ევროპელი პოეტის ეგზოტიკურ ესთეტიკუმს, რომელიც მეტისმეტად ხშირად იაფფასიანია. პირიქით, [ეს] რომანი არქიტექტონიკით განეკუთვნება რომანის ევროპულ, და არა აღმოსავლურ ტრადიციებს, რისი მეშვეობითაც ევროპელისთვისაც შესაძლებელი ხდება აღმოსავლური საზოგადოებრივი სამყაროს გაგება. რომანის მხატვრულად დახვეწილი სტილი, ენის ლამის მაგიური ხელოვნება ცალკეულ ტექნიკურ-ფსიქოლოგიურ ნაკლოვანებასაც გვავიწყებს.“*

ეს არის დოკუმენტი, რომლის გაცნობის შემდეგ აღარ შეიძლება ეჭვი იყოს, წაკითხული ჰქონდა თუ არა ესად ბეის „გველის პერანგი“. ამ პატარა ინფორმაციაში იგი საკმარის გულუხვად აქებს „გველის პერანგს“ და მის ავტორს: „რომანის ევროპული არქიტექტონიკა“; „მხატვრულად დახვეწილი

სტილი“; „ენის ლამის მაგიური ხელოვნება“. მაგრამ მკითხველი შეამჩნევს რომ ჭებაში კრიტიკის ნოტებიც ისმის: „შეიძლება ეწოდოს „პოეტი“; „ლამის მაგიური ხელოვნება“; „ცალკეულ ტექნიკურ-ფსიქოლოგიურ ნაკლოვანება-საც გვავიწყებს“.

ერთი სიტყვით, ესად ბეი ჯერ არ იცნობს გრიგოლ რობაქიძეს და არც იცის, ოდესმე გაიცნობს თუ არა მას; ჯერ არ იცის, რაში გამოადგება იგი. 1931 წელს იგი პირადად გაიცნობს გრიგოლ რობაქიძეს და მისი შეფასებებიც რადიკალურად იცვლება: „საქართველოს და, შესაძლოა, მთელი დღევანდელი აღმოსავლეთის უდიდესი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, რომელიც გერმანიაში უპირველეს ყოვლისა ცნობილია თავისი რომანით „გველის პერანგი“; „აღმოსავლეთის გენიალური მწერალი; „...აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის სულიერი ხიდის შესახებ, რომლის გადებაც მხოლოდ მას შეუძლია“ (მრავალთავი, გვ. 227).

ჩვენ კი უკვე ვიცით, რომ ორიოდვე წლის წინ, „გველის პერანგის“ წაკითხვის შემდეგ, ესად ბეისთვის გრიგოლ რობაქიძე კარგი და ეგზოტიკური (ცალკეული ნაკლოვანებებით) წიგნის ავტორი კი იყო, მაგრამ „მთელი აღმოსავლეთის უდიდესი და გენიალური მწერალი არა ყოფილა“. საქმე ის არის, რომ „დიდი მისტიფიკატორი“ და, თუ ამ ეპითეტს ვისესხებ, „დიდი კომბინატორი“, ესად ბეი მხოლოდ გრიგოლ რობაქიძესთან პირადი შეხვედრის შემდეგ მიხვდა, როგორ საბადოს მიაგნო.

მკითხველმა რომ სწორად წარმოიდგინოს ესად ბეი როგორც ლიტერატორი და პუბლიცისტი საქართველოსთან მიმართებაში, სანამ იგი გრიგოლ რობაქიძეს შეხვდებოდა, სულ ორ მაგალითს მოვიყვან (ორივე დოკუმენტი მომწოდია ბეტი ბლერმა).

1927 წელს ესად ბეიმ გამოაქვეყნა მცირე წერილი შოთა რუსთაველის შესახებ.

„შათო რუსთაველი“ (Schato Rustaweli)

საქართველოს დიდმა დედოფალმა თამარამ თავისი დედაქალაქის მახლობლად სასახლე ააგო. იქ ატარებდა ის ღამეებს. ყველას, ვინც მას ეთაყვანებოდა, შეეძლო სასახლეში შესვლა. ერთი ღამის განმავლობაში ის დედოფლის ბატონი იყო. მაგრამ [ამ] ბედნიერს უკვე გამთენიისას სიცოცხლის საფასური უნდა გადაეხადა დედოფლის სიყვარულისთვის. მხოლოდ ერთი დარჩა ცოცხალი სასიყვარულო ღამის შემდეგ. ეს იყო სადღეისოდ რვა საუკუნის წინ გარდაცვლილი პოეტი შათო რუსთაველი რუსთავიდან, ცნობილი თხზულების „ვეფხისტყაოსნის“ (დედანში Der das Panterfell trägt „ის, ვინც ავაზას ტყავს ატარებს“) ავტორი.

შათო ანუ აშოტ რუსთაველი არის საქართველოს უდიდესი და უსაყვარლესი ნაციონალური და სიყვარულის მომღერალი პოეტი. მაგრამ მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის ბევრად დიდია, ვიდრე უბრალოდ სიყვარულის მომღერალი პოეტისა.

დღესაც რუსთაველი რჩება ქართული სასიცოცხლო იდეალის უმაღლეს განსახიერებად, საქართველოს ხელოვანად და წინამძღოლად საუკუნეთა განმავლობაში. რუსთაველის უმნიშვნელოვანესი ნაწარმოები არის რომანი ლექსად „ვეფხისტყაოსანი“ (Der das Panterfell trägt „ის, ვინც ავაზას ტყავს ატარებს“), დაწერილი უცნაური სალექსო ზომით, სადაც ყოველი ლექსი თექვსმეტი მარცვლისგან უნდა შედგებოდეს. ბევრჯერ ეცადნენ რუსთაველის ნაწარმოების საწყისები სპარსულ და არაბულ მოტივებში მოენახათ. რუსთაველი თვითონ აღიარებს, რომ ისარგებლა სპარსული პოეზიის წყაროებით. შეუძლებელია, აგრეთვე, უარყოფა გარკვეული ფორმალური მსგავსებისა არაბულ „ჟასიდთან“. მაგრამ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი იყო რუსთაველისთვის ქართული ხალხური ეპოსის გავლენა; მთელი რომანი მის „გალექსვად“ შეიძლება მივიჩნიოთ.

რომანის გმირი არის „ქართველი ფაუსტი“ (sic!) ტარიელი, რომელიც ძლიერი დედოფლის ნესტან დარეჯანასთვის (sic!) თავის მოსაწონებლად იბრძვის. საკუთრივ მოქმედება მიმდინარეობს ზღაპრულ ქვეყნებში – ინდოეთში, სპარსეთში, არაბეთში, სადაც ტარიელი თავის საგმირო საქმეებს სჩადის. საინტერესოა ნაწარმოების ლირიკული ფრაგმენტები: რუსთაველი, სხვათა და სხვათა შორის, ლაპარაკობს პოეზიისა და პოეტის შესახებ. რუსთაველის თვალში მხოლოდ ის არის პოეტი, ვისაც მასთან ერთად შეუძლია გაიმეოროს ცნობილი ლექსი:

„მე, პოეტი რუსთაველი,
ვმღერი, რადგან მემღერება“.

რუსთაველი გადათარგმნილია ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, რუსულ, პოლონურ და სომხურ ენებზე. გერმანული თარგმანი ლაისტისაა: „Der Mann im Tigerfelle“, Leipzig 1889. უკანასკნელი და საუკეთესო თარგმანი რუსთაველის ზოგიერთი ფრაგმენტისა შეასრულა რუსმა პოეტმა ბალმონტმა, ბერლინი, Logos, 1921.“

მართალია, 1927 წელს ესად ბეი სულ 22 წლისა უნდა იყოს და შეიძლებოდა ასაკით ახსნილიყო მისი ასეთი ზერელე დამოკიდებულება ინფორმაციისადმი. შეცდომების გარდა, შოთა რუსთაველთან დაკავშირებით დამახინჯებულია ყველაფერი, რისი დამახინჯებაც კი შეიძლებოდა და ასეა მის პირველ დიდი ზომის ნაწარმოებშიც – „სისხლი და ნავთობი აღმოსავლეთში“. აქაც სიტყვა-სიტყვით მეორდება თამარ მეფის სასიყვარულო თავგადასავლების აღწერა. თურმე სწორედ ამ „თავისუფალი სიყვარულის“ გამო უმღეროდნენ მას ქართველი, სპარსი, რუსი, ინდოელი და სომეხი პოეტები. ერთადერთ, რაც ამ ნაწარმოებში აღარ გვხვდება, ეს არის შოთა//აშოტ.

ესად ბეის ინფორმატორი, ცხადია, სომეხია: „შათო (Schato) ანუ აშოტ/აშოთ (Aschot)“ მხოლოდ სომეხს შეიძლებოდა ეთქვა მისთვის. ისიც ცხადია, რომ ინფორმატორი ესად ბეის ინფორმაციას რუსულად, ზეპირი მეტყველებით (უმახვილო „ო“-ს „ა“-დ გამოთქვამს) და თანაც შეგნებულნი დამახინჯე-

ბით აწვდის, რათა საკუთარი სახელი „შოთა“ რაც შეიძლება დაუახლოოს „აშოტს“. ესად ბეის მიერ რუსთაველის ნაწარმოების სახელწოდების გერმანული ვარიანტიც სომხური თარგმანის მიხედვით არის გაკეთებული. არტურ ლაისტის თარგმანი რომ განსხვავებულია, მისივე ტექსტიდან ჩანს. გარდა ამისა, ეს თარგმანი გამოქვეყნებულია ლაიფციგში 1880 და არა 1889 წელს, როგორც ესად ბეი წერს. ცხადია, მას არტურ ლაისტის თარგმანი საერთოდ არ უნახავს. ესად ბეი არც ბალმონტს იმეორებს თხზულების სათაურის თარგმნისას (ბალმონტის მიერ გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფრაგმენტების თარგმანები ბიბლიოგრაფიულ ცნობარებში დადასტურებული არ არის). იგი სიტყვასიტყვით გადმოსცემს შოთა რუსთაველის თხზულების სომხურ თარგმანს: პირველ გამოცემაში ეს იყო „ავაზის ტყავის მატარებელი კაცი“, ხოლო შემდეგ დამკვიდრდა *„ავაზისტყაოსანი“* (თუმცა გვხვდება *„ავაზისტყაოსანი“* („ვეფხისტყაოსანი“).

1928 წელს ესად ბეი გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, 20 წლისთავს (*Die Literarische Welt*, 4, 1928, N6, გვ.7):

„ილიკო ჭავჭავაძის გარდაცვალების მეოცე წლისთავი

პატარა ქართული კულტურული წრე ამ დღეებში აღნიშნავს ახალი დროის უდიდესი ქართველი პოეტის, თავად ილიკო ჭავჭავაძის გარდაცვალების დღის მეოცე წლისთავს.

ჭავჭავაძე იყო აქტიური მებრძოლი ქართული თავისუფლებისთვის მოძრაობისა, მან დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს ეროვნული და მისი ლიტერატურის აღორძინების საქმეში.

ჭავჭავაძის უცნობილესი ნაწარმოებებია: „ბატონი და ყმა“ (sic!), დრამა „დედა და შვილი“, აგრეთვე ლექსები: „ბაზალეთის ტბა“, შემდეგ „მეფე დიმიტრი“ და „კანო (sic!) ყაჩაღი“.

ჭავჭავაძემ მნიშვნელოვანი სახელი მოიხვეჭა როგორც პუბლიცისტი. თავის გაზეთში „ივერია“ ის წლების განმავლობაში იბრძოდა კავკასიის ხალხთა დაძმობილებისთვის.“

ყურადღებას თავიდანვე იპყრობს ესად ბეის მითითება „პატარა ქართულ კულტურულ წრეზე“. ცხადია, იგი იცნობს ამ წრის რომელიღაც წარმომადგენელს (ესად ბეი პირადად რომ იცნობდა ევროპაში „ბევრ ქართველსა და სომეხს“, იხ. Glyn Roberts, გვ. 418). მაგრამ, საკვირველია, რომ 1928 წლის აპრილში (!) ბეჭდავს ცნობას და მიუთითებს, რომ „პატარა ქართული კულტურული წრე ამ დღეებში აღნიშნავს“ ილია ჭავჭავაძის გარდაცვალების მეოცე წლისთავსო. ვფიქრობ, ამ შემთხვევაშიც ცხადია, რომ ესად ბეი ზეპირ ინფორმაციას იღებს ილია ჭავჭავაძის თანამედროვე ვიღაც ემიგრანტისაგან, რომელიც შესაძლოა ახლოსაც იცნობდა მას (ილიას). სხვა შემთხვევაში საიდან უნდა გაჩენილიყო ესად ბეის ინფორმაციაში „ილიკო“ ილია ჭავჭავაძის საკუთარ სახელად, ისე როგორც მას ახლობლები უწოდებდნენ. ზეპირი

ინფორმაციის ბრალი უნდა იყოს აგრეთვე მის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები ილია ჭავჭავაძის ნაშრომების დასახელებისას – ეს მაშინ, როდესაც ესად ბეი თავს საქართველოში ხშირად მყოფად, ქართულის მცოდნედ და ქართველადაც კი აცხადებდა. როგორც ჩანს, ესად ბეის თანამედროვეთა შორის გაჩენილი ხმები, რომ ის უპოვარ ემიგრანტთაგან ყიდულობდა სიუჟეტებს კავკასიის შესახებ, უსაფუძვლო არ უნდა იყოს.

გრიგოლ რობაქიძისა და ესად ბეის ურთიერთობების შესახებ „მრავალთავში“ გამოქვეყნებულ სტატიაში ვწერდი:

„ჩემთვის სრულიად უეჭველია გრიგოლ რობაქიძისა და ესად ბეის (ყურბან საიდის) მჭიდრო, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, შემოკმედებითი კავშირი. ეს კავშირი ნებაყოფლობითი იყო: რობაქიძემ თავიდან ბოლომდე (კითხვებიც და პასუხებიც) თვითონ დაწერა ესად ბეის სახელით გამოქვეყნებული ინტერვიუ; რობაქიძემ გამოსაქვეყნებლად დაუთმო ესად ბეის უზარმაზარი ინფორმაცია ხევსურების შესახებ; რობაქიძემ მას თავისი ინტიმური ცხოვრების დეტალებიც კი გაანდო; რობაქიძემ ესად ბეის გააცნო „ჩაკლული სული“, ჩანს, ხელნაწერში. შეუძლებელია მას არც „ალი და ნინოს“ შესახებ გაეგო რაიმე, არც „ხევსურების“ და არც „წითელი სამართლის“ (“რუსეთი გზაჯვარედინზე?”); საკვირველია, რომ გრიგოლ რობაქიძე დუმს! ჩვენ კი ჯერ არ ვიცით ამ დუმილის მიზეზი“ (გვ. 240).

სხვაგან, იმავე ნაშრომში, კიდევ ერთ ეჭვს გამოვთქვამდი:

„თავის წყაროს ესად ბეი არსად არ ასახელებს, რაც საფუძველს მადლევს ვიფიქრო, რომ მას შეეძლო „გველის პერანგიც“ უხვად გამოეყენებინა „ალისა და ნინოში“, მით უფრო, რომ ეს რომანი მან ყურბან საიდის ფსევდონიმით გამოაქვეყნა და გრიგოლ რობაქიძეს მის მიმართ პრეტენზიები ვერ ექნებოდა. იქნებ ამიტომაც აირჩია ისეთი ფსევდონიმი, რომელიც მას მანამდე არ გამოუყენებია?“ (გვ. 232).

ასე რომ, მაშინვე ჩამოყალიბდა ორი კითხვა: 1. რატომ დუმს პლაგიატის შესახებ გრიგოლ რობაქიძე, მაშინ როდესაც ის, უეჭველია, იცნობს ესად ბეის იმ ნაწერებს, სადაც მისი აზრები და მთელი ტექსტებიც კია გამოყენებული; 2. ხომ არ გამოიყენა ესად ბეიმ „ალისა და ნინოსთვის“ საგანგებოდ ისეთი ფსევდონიმი (ყურბან საიდი), რომელიც გრიგოლ რობაქიძის ყურადღებას არ მიიპყრობდა.

მაგრამ „არა არს დაფარული, რომელი არა განცხადდეს“ (მათე 10:26).

იმ გამომცემლის მეუღლემ, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა „ალი და ნინო“ (1937), 1976 წლის 20 თებერვალს 80 წლის ასაკში მისწერა წერილი ნიუ-იორკიდან ლონდონში ვინმე შონბერგს (გამოუქვეყნებელია. მომავლად ბეტი ბლერმა). წერილი ძირითადად ესად ბეის და მისი მეუღლის პ. ი. ტალის ურთიერთობას ეხება (წერილის ავტორი არ არის ინგლისურენოვანი, ამიტომ მკითხველმა არ უნდა გაიკვიროს ზოგიერთი სტილისტური უხერხულობანი):

To F.A.G. Schoenberg
Belmont & Co.
Friendly House
21/4 Chiswell Street
London EC1

From
Lucy Tal
242 W. 76th Street
Apt 12C
New York, NY 10023
February 20, 1976
To F.A.G. Schoenberg
From Lucy Tal February 20, 1976

I know that there was an incident, where Essad had put an entire page into something of his own writings, and it was published and that page was verbally [verbatim] copied from a Georgian writer, whose writings had appeared in some very good German Verlag. One somehow came to an agreement. But de facto, Essad did not know that this writer had appeared and did not hesitate to simply copy. Essad spoke a number of those various languages, if I remember correctly, and translated it for himself from the Georgian original.

„მე ვიცი, რომ იყო ერთი ინციდენტი, როდესაც ესად ბეიმ მთელი გვერდი შეიტანა თავის ერთ ნაწერში და გამოაქვეყნა. ეს გვერდი იყო სიტყვასიტყვით გადმოწერილი ქართველი ავტორისგან, რომლის ნაწერები ქვეყნდებოდა ზოგიერთ კარგ გერმანულ გამომცემლობაში. ის (ქართველი ავტორი – ზ.ა.) როგორღაც მოურიგდა (ესად ბეის), მაგრამ de facto ესადმა არ იცოდა, რომ ეს მწერალი (მისი ნაწარმოები – ზ.ა.) უკვე გამოქვეყნებული იყო და არც უყოყმანია, რომ უბრალოდ გადმოეწერა. თუ კარგად მახსოვს, ესადი ლაპარაკობდა იმ რამდენიმე სხვადასხვა ენაზე, და ის [გვერდი] თავისთვის გადმოწერა პირდაპირ ქართული ორიგინალიდან“.

შესაძლოა, მოხუც ქალს ბევრი რამ აღარ ახსოვს ან ეშლება (მაგალითად, წერილის დაწერის თარიღი. ვარაუდობენ, რომ იგი დაწერილია 1986 წელს და არა 1976-ს), მაგრამ პლაგიატის შესახებ კონფლიქტი რომ გრიგოლ რობაქიძესა და ესად ბეის შორის ურთიერთობას ეხება, ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია: ქართველ მწერალთაგან ესად ბეის (უურბან საიდს) მთელი გვერდები გადმოწერილი აქვს მხოლოდ გრიგოლ რობაქიძისგან და „კარგ გერმანულ გამომცემლობებშიც“ მხოლოდ გრიგოლ რობაქიძე აქვეყნებდა თავის ნაწარმოებებს.

მოყვანილი წერილი ჩემთვის ასე თუ ისე ორ კითხვაზე პასუხობს: 1. რატომ გამოაქვეყნა „ალი და ნინო“ ესად ბეიმ უურბან საიდის ფსევდონიმით; 2. იყო თუ არა ჩუმიდ გრიგოლ რობაქიძე ესად ბეის პლაგიატობის შემხედვარე.

„ალი და ნინო“ გამოქვეყნებამდე ესად ბეი უხვად სარგებლობდა გრიგოლ რობაქიძის თხზულებებით და ზეპირი მონათხრობით (წურავის ნუ გაუჩნდება სურვილი ამათ რიგში ჩათვალოს „შამილიც“, რადგან აქ უკვე

გრიგოლ რობაქიძესთან შედარებით ქრონოლოგიური უპირატესობა აქვს ესად ბეის და, ამასთანავე, ეს ორი სრულიად სხვადასხვა ნაწარმოებია, შექმნილი ერთ მთავარ მოგონებაზე დაყრდნობით. შამილის მიერ თავისი დედის „დასჯის“ ისტორია ჯერ კიდევ 1850-იან წლებში გამოაქვეყნა შამილის ერთმა ტყვედ ნამყოფმა ოფიცერმა და ეს სიუჟეტი ძალიან მალე მოედო მთელი მსოფლიოს პრესას), მაგრამ გრიგოლ რობაქიძეს პროტესტი არ გამოუთქვამს – ვფიქრობ, იმიტომ, რომ ესად ბეი მას აქა-იქ მაინც იხსენიებდა და თანაც დიდი პატივით. ესად ბეიმ, როგორც ჩანს, მაშინვე აულო ალლო გრიგოლ რობაქიძის სუსტ ადგილს და პირველსავე ინტერვიუში აღმოსავლეთის გენიალურ მწერლად გამოაცხადა. ამის შემდეგ მას გზა გაეხსნა ნაწილობრივი პლაგიატისათვის.

მაგრამ ეს ყველაფერი ეხებოდა დოკუმენტურ თხზულებებს, „ალი და ნინო“ კი მხატვრული ნაწარმოები იყო და ესად ბეი გრიგოლ რობაქიძის გამოყენებას პლაგიატის გარეშე ვერ შეძლებდა. ცოტუნება კი დიდი იყო. მე მგონია, მან ურბან საიდი იმის იმედით აიღო ფსევდონიმად, რომ რობაქიძეს ურადლების არეში არ მოხვდებოდა. მაგრამ მოტყუვდა. გრიგოლ რობაქიძემ „ალი და ნინო“ წაიკითხა და განრისხდა, განრისხდა ისე, როგორც მხოლოდ მას შეეძლო განრისხება. როგორც ჩანს, ესად ბეიმ რაღაც მანქანებით მოახერხა გრიგოლ რობაქიძის დამშვიდება, – როგორ, ეს წერილიდან არა ჩანს და, შესაძლოა, მისმა ავტორმა არც იცის. შეიძლებოდა გვევარაუდა, რომ უიმედო მდგომარეობაში (წიგნი უკვე გამოქვეყნებული იყო) ეს იყო მატერიალური კომპენსაცია. თანამედროვეთა მოგონებით, „მას შემდეგ, რაც [გრიგოლმა] სამშობლო მიატოვა, რადგან თავისი თანამემამულის, სტალინის მიერ მისი ხელყოფა ვერ აიტანა, ეს კაცი წარმოუდგენელ სიღარიბეში ცხოვრობდა“ (ნიკოლაუს ზომბართი, გრიგოლ რობაქიძე, მნათობი, 1989, 4, გვ. 128). არც ის არის გამორიცხული, რომ ესად ბეი შეჰპირდა რობაქიძეს თავისი შეცოდების წერილობით აღიარებას, თუმცა ჯერჯერობით არც ასეთი დოკუმენტი ჩანს და არც ესად ბეი ჩანს დიდი მორალის მქონე ადამიანი. ამასობაში მეორე მსოფლიო ომიც დაიწყო და აღიარებებისთვის აღარავის ეცალა (ესად ბეიც მალე გარდაიცვალა).

საინტერესოა, რომ, მიუხედავად კონფლიქტისა, გრიგოლ რობაქიძემ ესად ბეის მიმართ ნაზი გრძნობები კიდევ დიდხანს შეინახა. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია ნინო და კალისტრატე სალიების არქივში შემონახულია რობაქიძის მიერ ნინო და კალისტრატე სალიებისთვის გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (31.V.1952 ჟენევა) მოხსენიებულია ესად-ბეი.

გრიგოლ რობაქის წერილი საკითხების მიხედვით დაყოფილია მუხლებად. ესად ბეის თემას უკავია მეხუთე მუხლი მთლიანად:

„5. მისწერეთ ნიკო ნაკაშიძეს: გამოგიგზავნოთ ტექსტი (გერმანულად) **ესად-ბეის** (ასეა ტექსტში – ზ. ა.) ნაწერისა, საცა შეგინებული იყოს ქართველობა. მოსთხოვეთ! მე მხოლოდ ქება წამიკითხავს (ეწერა „მომისმენია“, რომელიც რობაქიძეს ეწერა უშუალოდ გადაუშლია. ჩანს, არ სურდა მისი ბი-

რადი კონტაქტი ესად ბეისთან გამჟღავნებულყო – ზ. ა.) ქართველთა მისს (ასეა ტექსტში – ზ.ა.), **ესსად-ბეის**, ნაწერებში. მართალია, აქა-იქ ვერ ლაგ-მავს ავტორი თავის ფანტაზიას – ხოლო როგორ მივიჩნოთ ეს „გინებად“? ერთი ადგილი აქვს, რომელიც ზოგიერთი ქართველის სმენას „ეხამუშება“. ამბობს: წმ. ნინო ებრაელი იყოვო. მახსოვს: ერთხელ სადათიერაშვილი მოვიდა ჩემთან წინადადებით: პროტესტი უნდა გამოვაცხადოთ და სხვა. ვისაც ეს „ეხამუშება“, იგი ქრისტეანე არაა: განა მოციქულნი ებრაელნი არ იყვნენ?! ვინ იყო ტომით წმ. ნინო, ჩვენ არ ვიცით. ვიცით მხოლოდ, რომ იგი კაპადოკიითგან იყო. სხვათა შორის, ჩემს წინა წერილში შეასწორეთ სახელი იმ ყურნალისა, საცა **ესსად-ბეის** ესკიზი იყო ჩემზე მოთავსებული. Weltflühne კი არა Echo der Zet (დედანში ასეა, უნდა იყოს Echo der Zeit – ზ. ა.), 1933, თებერვალი, მეორე რვეული“ (მრავლთავი, 22, გვ.240-241).

ესად ბეის გრიგოლ რობაქიძის შესახებ 1933 წლით დათარიღებული „ესკიზის“ მონახვა ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. არა ჩანს, ასეთი „ესკიზი“ ესად ბეის დეტალურ ბიბლიოგრაფიაშიც. შესაძლოა, გრიგოლ რობაქიძეს ეშლება და გულისხმობს იმ ინტერვიუს, რომლის სრული თარგმანი ზემოთ არის მოყვანილი – ზ. ა.). ჯერჯერობით არც ის სალიებისათვის გაგზავნილი „წინა წერილი“ ჩანს, რომელშიც ესად ბეისა და რობაქიძის ურთიერთობის შესახებ ყოფილა ლაპარაკი. არადა, საინტერესო კია, რა ეწერა ან წერია მასში!

Часть II о бракосочетавшихся.					
№	Лѣта.		Число и мѣсяць.		Кто именно съ кѣмъ вступаетъ въ бракъ также имена и состояніе родителей.
	Женскаго.	Мужскаго	Христіанскій.	Еврѣйскій.	
29	20	31		26 30	<p>Полковникъ Мигр-инскій, Францъ Давидъ Абрамъ Яковлевичъ Кусимбауридъ съ Коваленъ Тасей Давидовной Суцкиной, дочерию генералша отъ инфантеріи губер. Намновисскаго уезда, м. Петербурга.</p> <p>1 Ноября 1904 года симъ удостоено ррелии, что въ теченіе 30 лѣтъ отъ начала сего года бракосочетаній между евреями по образу Мисримиу было три (3).</p> <p>Павелъ М. Д. ... Викторъ Ивановичъ М. Заскоковичъ за Гесс. Л. Левъ</p>